

საქართველოს ეროვნული ბანკი

**ინფლაციის მიმოხილვა**

2007 წ. II კვარტალი



# შინაარსი

|          |  |           |
|----------|--|-----------|
| <b>1</b> | <b>შესავალი</b>  | <b>5</b>  |
| <b>2</b> | <b>სამომხმარებლო ფასების ცვლილება</b>  | <b>8</b>  |
|          | ჩანართი 1 – ფასების გაზომვა სავაჭრო<br>ქსელების მიხედვით   | 11        |
| <b>3</b> | <b>ინფლაციის ფაქტორები</b>   | <b>12</b> |
| 3.1      | მონეტარული აგრეგატების<br>დინამიკა   | 12        |
|          | ფართო ფული   | 13        |
|          | ჩანართი 2 – მინიმალური სარეტერფო<br>მოთხოვნები   | 14        |
| 3.2      | საპროცენტო განაკვეთების,<br>სადეპოზიტო ვალდებულებებისა<br>და ეკონომიკის დაკრედიტების<br>დინამიკა             | 15        |
| 3.3      | სავალუტო კურსი,<br>ღოლარიზმაცია და<br>საგადასახდელო ბალანსი  | 19        |
|          | სავალუტო ბაზარი  | 19        |
|          | რეალური გაცვლის კურსი  | 20        |
|          | საგადასახდელო ბალანსი  | 20        |
|          | ჩანართი 3 – ოპტიმალური მონეტარული და<br>ფისკალური პოლიტიკა<br>მაღალი ფინანსური ნაკადების<br>შემოდინების დროს | 24        |
| 3.4      | წარმოების დანახარჯები  | 26        |
|          | ნავთობის ფასების დინამიკა  | 26        |
|          | ბიუჯეტი  | 22        |
|          | შრომის პროდუქტიულობა,<br>ხელფასები   | 28        |

|          |                           |           |
|----------|---------------------------|-----------|
| 3.5      | გამოშვება და მოთხოვნა     | 28        |
|          | გამოშვება                 | 28        |
|          | შინაგარენტობის მოხმარება  | 29        |
|          | სახელმწიფო მოხმარება      | 29        |
|          | ინცისტიციები              | 30        |
| <b>4</b> | <b>ინფლაციის პროგნოზი</b> | <b>31</b> |

2007 წლის II კვარტალში ინფლაციის დონე საქართველოში ბომიერ ფარგლებში იყო მოქმედება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო ინფლაციის მასში დაფიქსირებულ 7.3 პროცენტს უფლდებოდა, თუმცა, საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალია და 10.1 პროცენტს შეადგენს. ფასების ზრდის ტემპის შემცირებაზე საბაზო ინფლაციაც მიუთიქს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ფასების მატების სტაბილიზებას არა ცალკეული პროცესების, არამედ ფასების საერთო დონის დინამიკა განაპირობებდა.

2007 წლის ივნისისათვის საქართველოში არსებული ინფლაცია, მისი საყაჭრო პარაგნიორი ქვეყნების ანალოგიულ მაჩვენებელთან შედარებით (საშუალოდ, შესაბამისი წონების გათვალისწინებით), უფრო დაბალი იყო. კერძოდ, ივნისში წლიური ინფლაცია რეალური 8.6 პროცენტს, თურქეთში 8.6 პროცენტს, უკრაინაში 13.0 პროცენტს, აზერბაიჯანში 13.3 პროცენტს უფლდებოდა.

2007 წლის II კვარტალში გარკვეულწილად დასტაბილურდა ფულის მიწოდება, კერძოდ, ივნისში სარეზერვო ფულის მოცულობის წლიურმა ზრდამ, თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, დეკემბერში (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) არსებული 31.4 პროცენტიდან ივნისში 24.6 პროცენტამდე მოიკლო. ამავე პერიოდში მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობა 37.9 მლნ ლარით გაიმარდა და 967.4 მლნ ლარს გაუტოლდა. საბანკო სისტემაში არსებული დეპოზიტების მკვეთრი ზრდის ფონზე, განსაკუთრებით სწრაფად მოიმატა ფართო ფულის აგრეგატია: უცხოური ვალუტით დეპოზიტების ჩათვლით, M3-ის მაჩვენებელი გაიმარდა 42.2 პროცენტით, M2-ისა – 31.5 პროცენტით.

შედარებით სტაბილური იყო ლარის გაცვლის კურსი. 2007 წლის II კვარტალში რეალური ეფექტური გაცვლის კურსი, წლის I კვარტალთან შედარებით, უმნიშვნელოდ (0.24 პროცენტით) გამყარდა. ამასთან, იგივე პარამეტრი 2006 წლის II კვარტალის მაჩვენებელზე ასევე უმნიშვნელოდ (0.28 პროცენტით) გაუფასერდა. რაც შეეხება ნომინალურ ეფექტურ გაცვლის კურსს, ის კვარტალის განმავლობაში 0.64 პროცენტით გაუფასერდა, ხოლო გასული წლის ივნისთან შედარებით კი გაუფასერებამ 1.65 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, გაცვლის კურსის გავლენა ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით უმნიშვნელო იყო.

რაც შეეხება ლარის გაცვლის კურსს ცალკეული ვალუტების მიმართ, კვარტალის განმავლობაში იგი აშშ დოლართან 1.79 პროცენტით გამყარდა, ხოლო ევროსთან 0.8 პროცენტით გაუფასურდა. დიდი ბრიტანეთის გირგანქა სფერლინგის მიმართ ადგილი ჰქონდა ლარის კურსის გამყარებას 0.5 პროცენტით. თურქეთი დაინტენდებოდა დარი, დაახლოებით, 4 პროცენტით გაუფასურდა. რუსეთი რუბლსა და შვეიცარიულ ფრანკთან ლარი, შესაბამისად, 1 პროცენტითა და 2.7 პროცენტით გამყარდა.

საგადასახლელო ბალანსი წარმოადგენდა ერთობლივი მოთხოვნის ჩრდილის მნიშვნელოვან წყაროს. მიმღინარე ანგარიშის დეფიციტმა 2007 წლის I კვარტალში 385.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ბოლო წლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, თუმცა, ფინანსური ანგარიშის მნიშვნელოვნად სჭარბობს მიმღინარე ანგარიშის დეფიციტს (მათ შორის მუდმივად მჩარდი ფულადი გზავნილების მოცულობის ხარჯზე), რაც ქვეყნის რეზერვების ბრდაბე აისახება.

ოფიციალურად რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 2007 წლის II კვარტალში 1507.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა – გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე 34 პროცენტით მეტი. აქედან, ექსპორტი 37 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 33 პროცენტით. II კვარტალში, რუსეთის ემბარგის შემდეგ, პირველად დაფიქსირდა იმპორტის შედარებით ექსპორტის წინმსწრები ტემპით ზრდა.

ფასების დინამიკაზე მოქმედი ერთ-ერთი ეგზოგენური ფაქტორი – ნავთობის ფასები, 2007 წლის II კვარტალში აღმავალი დინამიკით ხასიათდებოდა. 30 ივნისისთვის, მარტის ბოლოსთვის შედარებით, ნავთობის ფასები მსოფლიო ბაზარზე 7.3 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვან გავლენის ახდენს ფალის მოთხოვნა-მიწოდებაზე. ფულზე მოთხოვნის ბრდის განაპირობებს გადასახადების მატება, ვინაიდნ კომპანიებსა და მოსახლეობას ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის მეტი ფული სჭირდება. 2007 წლის პირველ ნახევარში, წინა წელთან შედარებით, მკერრად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული საგადასახლო შემოსავლების ოდენობა. რაც შეეხება საბიუჯეტო ხარჯებს, რომელიც იწვევს მთავრობის დეპოტიფების ცვლილებას და, შესაბამისად, წარმოადგენს ფულის მიწოდების ერთ-ერთ წყაროს, 2007 წლის პირველ ნახევარში ფულის მასის შემცირების მიმართულებით ახდენდა გაელენას. ბიუჯეტის პირდაპირი ეფექტი ფულის მასაზე მოთხოვნის ბრდისა და მიწოდების შემცირების მიმართულებით განხორციელდა, რაც ინფლაციაზე ზეწოლას ამცირებდა.

2007 წლის I კვარტალში საშუალო ხელფასის წლიური გრძის ტემპი თითქმის 17 პროცენტით აღემატებოდა ერთ

დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულების  
რეალურ გრძეს. ისეთი არასაბაზრო სფეროს  
გამორიცხვით, როგორიც არის სახელმწიფო მართვა,  
სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება. ყოველივე ეს კი  
ინფლაციაზე ბეჭრდის მიმართულებით მოქმედებს.

მთლიანი შიდა პროდუქტის, ფულის მასის მოსალოდნელი  
გრძეს, დარის აშშ დოლართან გაცემის კურსის  
უცვლელობის პირობებში ნავთობის ფასების საბაზრო  
მოლოდინის მიხედვით (69 დოლარი/ბარელი),  
შარშანდელზე უკეთესა მოსავლიანობის,  
იმპორტირებული ინფლაციის მცირე გრძესა და სხვა  
შესაძლო ეგზოგენური ფაქტორების გარეშე, აგრეთვე,  
გამის ფასების მომატების გავლენის გათვალისწინებით,  
მოსალოდნელი წლიური ინფლაცია დეკემბრის ბოლოს,  
მონეტარელი პოლიტიკის უცვლელობის პირობებში,  
20 პროცენტი აღბათობით, 5.72 პროცენტიდან  
9.24 პროცენტამდე შეიცვლება.

## 2

## სამოხარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2007 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 0.2 პროცენტით შემცირდა მაისის მონაცემთან შედარებით. 2006 წლის იმავე პერიოდშიც სამომხმარებლო ფასების შემცირება 0.2 პროცენტი იყო. შესაბამისად, ივნისში წლიური ინფლაცია მაისში დაფიქსირებულ 7.3-პროცენტიან დონეზე შენარჩუნდა. ეს მაჩვენებელი მართალია შემცირდა, თუმცა ჯერ კიდევ მაღალია და 10.1 პროცენტს შეადგენს საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი.

სამომხმარებლო ფასების მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 4.1 პროცენტით მოიმატა. აქედან, 1.6 პროცენტს რეგულირებადი ფასების მქონე პროდუქტების წვლილი შეადგენს. წლიური ინფლაციაზე (ასევე პირველი ექვსი თვის ინფლაციაზე) გავლენას აღარ ახდენს. 2006 წლის მაისში გაძვირებული ელექტროენერგია, ივლისიდან კი წლიური ინფლაციაში, დაახლოებით, 1-2-პროცენტიან წვლილს შეიტანს საქალაქო ტრანსპორტის გაძვირებული ფასი. უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირებადი ფასების ერთჯერადი აწევა (ან სხვა ცალკეული საქონლის ფარდობითი ფასების ზრდა) არ წარმოადგენს ინფლაციას, თუ იგი არ იწვევს ინფლაციის მოლოდინის ან სხვა ფენიდმენტური ფაქტორების ცვლილებას. ინფლაცია ფასების საერთო დონის ზრდა, ხოლო ზემოაღნიშნული წარმოადგენს ფარდობითი ფასების ერთჯერად მატებას, რომელიც ასახება სამომხმარებლო ფასების ერთჯერად მრდაში.

## ცხრილი 2.1


რეგულირებადი ფასების მარენ პროცენტების წლიური ბაზირება და წლიური ინფლაციაში  
2007 წ., პირველი ნახევარი

|   | ფასის ცვლილება     |         | წლიური<br>ინფლაციაში |
|---|--------------------|---------|----------------------|
|   | საშუალო<br>საქონლი | საქონლი |                      |
| ციფრის გადასისადა<br>ნავეს გადასის გადასისადა<br>განა ბუნებრივი | 80%                | 0.4%    |                      |
|   | 137%               | 0.3%    |                      |
|   | 32%                | 0.5%    |                      |

## ცხრილი 2.1

თისის ინფლაცია 2007 წლის პირველ ეპის თვევამი

■ მნიშვნელოვანი  
საბაზო ინფლაცია ურთის სტანდარტული გადახრის ფარგლებში  
საბაზო ინფლაცია ურთის სტანდარტული გადახრის ფარგლებში




ივნისში დეფლაცია არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროცესების გაიაფების ხარჯზე დაფიქსირდა, არამედ იგი ფასების საერთო სტაბილურობისა და მათი უმნიშვნელო კლების შედეგიც იყო. ამ ფაქტზე თვის საბაზო ინფლაციის უპიროფითი მნიშვნელობა მიუთითებს. კერძოდ, ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისათვის (მთელი კალათის 96 პროცენტი) საბაზო ინფლაცია -0.8-ს, ხოლო ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისათვის (მთელი კალათის 93 პროცენტი) -0.6 პროცენტს შეადგენდა.

წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები, შესაბამისად 4.0 და 2.9 პროცენტს შეადგენს ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროდუქტებისათვის. საბაზო ინფლაციის შედარებით

### ბრაზილი 2.2

საბაზო 06 ველაცია




\* ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროცენტების (~85%) მიხედვით.

\*\* ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში არსებული პროცენტების (~93%) მიხედვით.


### ბრაზილი 2.3

M2 ვალის მასისა (იმის საშუალო მონაცემებით) და  
სამიზნებარგლო ზარალის ღლივის ზრდის ტენი



### ბრაზილი 2.4

ღლივის 06 ველაციის მანვენებლების ცვლილება სხვადასხვა  
ხანის კლიმატის მონაცემების სამიზნება და მოწახულებების



დაბალი მაჩვენებლები წლიური ინფლაციის არამონიგრენდება უნდა მოუთითებდეს.

წლევანდელი ინფლაციის გამოიყენება მეტად ხელშემწეობი ფაქტორის მეურნეობისათვის შარმშანდელზე ხელსაყრელი კლიმატური პირობები პირობების გათვალისწინებით, დაბალი ინფლაცია არის დაფიქსირებული. კერძოდ, ინფლაციის წლიური მონაცემი 8.6, თურქეთში 8.6, უკრაინაში 13.0, აბერძენიაზე 13.3 პროცენტია, მაშინ, როგორ საქართველოში ეს მონაცემი 7.3 პროცენტს შეადგენს.


2007 წლის ინფისიათვის საქართველოში, მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით (საშუალოდ შესაბამისი წონების გათვალისწინებით), დაბალი ინფლაცია არის დაფიქსირებული. კერძოდ, ინფისმი წლიური ინფლაცია რესერტში 8.6, თურქეთში 8.6, უკრაინაში 13.0, აბერძენიაზე 13.3 პროცენტია, მაშინ, როგორ საქართველოში ეს მონაცემი 7.3 პროცენტს შეადგენს.

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ ინფისმი ფასებმა დაიკლო როგორც ხანმოკლე, ასევე საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე. თვის განმავლობაში გაიზარდა მოხმარების მოსახურების ფასები. სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელს მორის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ხანმოკლე მოხმარების საქონელზე (7.3 პროცენტი). კიდევ უფრო დიდია წლიური ინფლაციის მაჩვენებელი (11.3 პროცენტი) მომსახურებისათვის. ასეთი შედეგი, სავარაუდო, ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასების ბრძოს შეჩერებით და საქონლის ფასების მატებასთან შედარებით მომსახურების ფასების ბრძოს დროში ჩამორჩენით არის განირიცხული. 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის მაისამდე ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ფასები 15.1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმავე პერიოდში მომსახურება 13.4 პროცენტით გაძეირდა. რაც შეეხება საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ფასებს, მათგან 2005 წლის დეკემბრიდან 2007 წლის მაისამდე პერიოდში ფასების 4.2 და 2.0-პროცენტიანი შემცირებაა დაფიქსირებული.


2006 წლის დეკემბრიდან დღემდე ტანსაცმელზე ფასების 6.6-პროცენტიანი კლიმატი აღინიშნება. უმნიშვნელოდ შემცირებული ასევე საოჯახო ნივთებისა და მოწყობილობის ფასების ფასები. 4.0 პროცენტის ირგვლივ ფიქსირებული ფასების ბრძოს სამომხმარებლო კალათის შემდეგ ჯგუფების: „სურსათი და უალკოოლობრი“ სამეცნიერება, „ალკოჰოლური სამსახურის დაცვა“, „ტრანსპორტის დაცვა“, „კავშირის დაცვა“, „კავშირის დაცვა“ და „კავშირის დაცვა“. 2007 წლის პირველი ნახევარში ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოს დაფიქსირდა სამომხმარებლო ჯგუფში – „საცხოვრებელი სახლი“.

## ბრაზილია 2.5

ზამდის ზედა 2006 ყლის დეპლაზის მონაცემების  
შედარევა



წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ (20.0 პროცენტი), რაშიც უმთავრესი წელიდა ბენებრივი გაბის, ციფრი წყლისა და ნაგვის გატანის გადასახლელის გამრდამ შეიტანა.



## ცხრილი 2.2

06 ველაციის (სუ) მანვენებლივი ცალკეული კომპონენტების მიხედვით (აროვენტი), გათი 2006 სამომხარევლო კალათაში (აროვენტი) და ცხადასახლება სუ-ზე (აროვენტი) კანკენტი

| 2006 წ. დეკემბერი  | იგნის-2007 / მაისი-2007 | იგნის-2007 / იგნის-2006 | იგნის-2006 - იგნის-2007 / იგნის-2005 - იგნის-2006 |          |
|--|-------------------------|-------------------------|---|----------|
|  |                         |                         | შეზღუდვა  | შეზღუდვა |
| სულ  | 100.0%                  | 7.3%                    | 10.1%   | 10.1%    |
| 1. სურსათი და გადაკომოდი სასმელები   | 44.3%                   | 8.4%                    | 14.9%   | 6.3%     |
| 2. აღმატებული და ფესტივალური სამარხო   | 43.0%                   | 8.8%                    | 15.4%   | 6.3%     |
| 3. სახელმწიფო სამარხო  | 12.2%                   | 6.9%                    | 5.1%  | 0.6%     |
| 4. საოჯახო ნივთები და მოწყვეტილობა   | 6.6%                    | 5.3%                    | 7.2%  | 0.5%     |
| 5. კამპინგების დაცვის დაწყები  | 1.1%                    | 2.7%                    | 6.8%  | 0.1%     |
| 6. ტრანსპორტი  | 5.2%                    | -1.8%                   | 17.9%   | 0.8%     |
| 7. კურიუო და კურიუბი   | 3.5%                    | 3.2%                    | 3.5%  | 0.1%     |
| 8. ხილი, კურიტები  | 2.3%                    | 13.8%                   | 68.0%   | 1.3%     |
| 9. ბილეთები და სატელევიზიო გადატყიფების და სხვა ბილეთების ჩათვალით           | 8.8%                    | -4.1%                   | 28.5%   | 2.3%     |
| 10. მარტინი, ჯემი, თაფული, გაფინერა, მიკოლადა, საკინძოებრივი ნაწარმი         | 2.7%                    | -1.3%                   | 6.3%  | 0.2%     |
| 11. კურიუოს სხვა მარტინექები   | 0.6%                    | -0.4%                   | 7.6%  | 0.0%     |
| 12. ელექტრონული სისტემები  | 1.3%                    | -0.2%                   | 0.9%  | 0.0%     |
| 13. აღმატებული სასტელები, თმბაქო   | 3.7%                    | 1.9%                    | -7.5%   | -0.3%    |
| 14. ტანსაცმელი და ფესტივალები  | 5.0%                    | -0.7%                   | 0.9%  | 0.0%     |
| 15. საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 10.3%                   | 0.9%                    | 28.0%   | 2.6%     |
| 16. ავტო საოჯახო ნივთები და მოწყვეტილობა, სახლის მოვლა-შეკვეთება             | 3.7%                    | -1.2%                   | 0.9%  | 0.0%     |
| 17. კამპინგების დაცვა  | 8.0%                    | -2.1%                   | 17.0%   | 1.3%     |
| 18. ტრანსპორტი   | 9.0%                    | 1.2%                    | 3.0%  | 0.3%     |
| 19. კავშირების მუსიკა  | 4.4%                    | 0.0%                    | -1.5%   | -0.1%    |
| 20. დასკვერება, გართიობა და კულტურა  | 2.7%                    | -0.5%                   | -0.3%   | 0.0%     |
| 21. განათლება  | 3.5%                    | -0.3%                   | 2.6%  | 0.1%     |
| 22. სასტუმროები, კაფეები და რესტორანები                                      | 2.4%                    | 0.2%                    | 6.3%  | 0.2%     |
| 23. სხვადასხვა საქონელი და მომსახურება                                       | 3.2%                    | 0.2%                    | 3.0%  | 0.1%     |
| 24. ხანითკლეული მიმმარტების საქონელი   | 68.0%                   | 7.3%                    | 7.6%  |          |
| 25. საშუალო ხანგრძლებულის მიმმარტების საქონელი                               | 6.5%                    | -4.0%                   | 0.1%  | 0.0%     |
| 26. ხანგრძლებული მიმმარტების საქონელი  | 1.9%                    | -0.4%                   | 0.2%  | 0.0%     |
| 27. მომსახურება  | 23.6%                   | 0.5%                    | 8.9%  | 2.1%     |

ანფორმაციის წყაროს საქმითველის კონცენტრაცია განვითარებულის სამინისტროს სტატისტიკის და პრატიშტებისა და საქმითველის ერთონგრედის პრინციპის გამოყენების მიზანით.

## ჩანართი 1. ფასების გაზომვა სავაჭრო ქსელების მიხედვით

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მოწევარული პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანის წარმოადგენს ფასების ღონის სტაბილურობის შენარჩუნება. ამ მიზნის წარმატებით შესასრულებლად პირველ რიგში, საჭიროა ფასების ღონის ცელილების ობიექტური და ბუსტი შეფასება. ტრადიციულად ყველაზე ხშირად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომლის გამოთვლასაც ახდენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სგაგისტიკის დეპარტამენტი. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გარდა, ფასების ღონის შესაფასებლად სხვადასხვა მეთოდა და ინფორმაციის წყაროს მიმართავნ, რომელთაგან თითოეულს თავისი ღირსება და ნაკლი გააჩნია.

სწორედ ამიტომ, მოწევარული პოლიტიკის მაქსიმალური უფექტურობის მისაღწევად საჭიროა ინფლაციის სხვადასხვა სამომის გამოიყენება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასების ღინამიკის შეფასების ოპერატორობას. ფასებზე ბუსტი და სწრაფი ინფორმაციის შეგროვებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომელიც მიიღება რეალიზაციის ცენტრუბილან, სადაც საქონლის რეალიზაციის აღრიცხვა ხდება სკანერით. ევროპაში, ასეთ ცენტრუბში რეალიზებული პროცესები მოხმარების 60-70 პროცენტს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში საქართველოშიც გაიზარდა ანალოგიური ცენტრების რიცხვი, მაგ., სუპერმარკეტების ქსელები – „გუდილი“, „პოპული“, „იძისი“; სააფთიაქო ქსელები – „პსპ“, „ავერსი“, „ჯიპისი“; გრძელვალიანი მოხმარების საქონლის რეალიზაციის ცენტრუბი – „დანიური სახლი“, „ელიტ-ელექტრონიქსი“, „ვესტელი“, „ინდეზიგი“... ამ გიპის აღრიცხვა ფასების ღინამიკის მონიტორინგის ახალ შესაძლებლობებს იძლევა: ელექტრონული მონაცემების უპირაგესობას ტრადიციულად შეგროვებულ ინფორმაციასთან შედარებით აღნიშნავთ ევროკაეპირისა და სხვა ქვეყნების სტატისტიკის დეპარტამენტები, რომლებსაც ამგვარი რეალიზაციის ცენტრუბილან მიღებული მონაცემების დამუშავების დიდ გამოცდილება გააჩნიათ.

ამ ცენტრუბილან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ფასების ღინამიკის შესწავლის დამატებითი

უპირატესობა არის გამჭვირვალობის უმრუნველყოფა, რაც ნაშნავს, რომ ნებისმიერ დამკვირვებელს შეუძლია ინფორმაციის სიტუაციის შემოწმება.

ელექტრონული მონაცემების გამოყენებისათვის უპირატესობის მინიჭების ძირითადი საფუძველია პროდუქტების რაოდენობის (რომლებზეც ხორციელდება დაკვირვება) მასშტაბური ზრდის შესაძლებლობა, რაც აითლებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის მაქსიმალურად ბუსტ გამოთვლას. ამგვარი წყაროებილან ინფორმაცია ფასებსა და მოხმარების ოდენობაზე ხელმისაწვდომია რეალურ დროში, რაც საშუალებას იძლევა მიმდინარე პერიოდში დაკვირვება განხორციელდეს ფასების დინამიკზე, მომხმარებლის რეალურ კალათაზე, არსებული პროცესების ჩანაცვლებისა და მისი ახალი პროცესებით შევსების ჩათვლით. შესაბამისად, უფრო ოპერატორულად გახდება შესაძლებელი ფასების ღინამიკის პროგნოზირება და აღერეაციური მოწევარული პოლიტიკის განხორციელება.

რეალიზაციის მსხვილი ცენტრუბილან ელექტრონული ინფორმაციის მიღების საფუძველზე ფასების ღინამიკის შესწავლა, ბემოთ აღნიშნული უპირატესობების გარდა, გარკვეულ ხარვეზებსაც შეიცავს (მაგ., წარმოდგენა იქმნება მხოლოდ ამ ცენტრუბის მომხმარებელთა კალათაზე და არა, ზოგადად, ქვეყნის სამომხმარებლო კალათაზე). შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს ინფლაციის ოფიციალურ საბორშს, იძლევა მხოლოდ დამატებითი ინფორმაციას ფასების ღინამიკის შესახებ და ხელს უწყობს მოწევარული პოლიტიკის ეფექტურობის გრძლას.


რეალიზაციის ცენტრუბში სკანირებულმა ინფორმაციამ ანალიზის ახალი შესაძლებლობები შექმნა. მას მკვლევარები ხშირად მიმართავენ ცალკეულ პროცესების მოთხოვნა-მიწოდების ღინამიკის შესწავლის დროს. ამ ინფორმაციის, როგორც ფასების ცელილებაზე დაკვირვების აღტერნატურული წყაროს მეშვეობით, სულ უფრო ხშირად სარგებლობები ცენტრალური ბანკები და სტატისტიკის დეპარტამენტები. მეტყველები, მოგიმორი ქვეყანაში სკანირებულ მონაცემებს იყენებენ სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცალკეული კომპონენტის (მაგ., სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის პროცესებიაზე) მაღალი სიტუაციით გამოსაანგარიშებლად.

# 3

## ინფლაციის ფაზები

პრაგმა 3.1  
ვართო ფაზა

■ საღმინდებულებები (უცხოური ვალუტი)  
■ საღმინდებულებები (ერთეულის ფასი)  
■ ბანკურისტურული ნაღდი ფაზა



### 3.1 მონეტარული აგრეგატების დინამიკა

**მონეტარული აგრეგატები.** 2007 წლის პირველ ნახევარში სარეზისუო ფულის მაჩვენებელმა 114.3 მლნ ლარით (9.6 პროცენტი) მოიმატა და იქნის ბოლოსთვის 1307.5 მლნ ლარი შეადგინა. თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით კი იქნისში, დეკემბერთან შედარებით, სარეზისუო ფული 46.2 მლნ ლარით (3.6 პროცენტი) გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბანკურისტურის სავალუტო ბირჟაზე განხორციელებული ინფერვენციები ფულად ბაზაზე მაგების მიმართულებით ახდენდა გავლენას. თბილისის ბანკურისტურის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სხვაობა ჩამოყალიბდა. შედეგად გაცემის კურსის მცირედი გამყარების პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა 384.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ამ ინსტრუმენტის მეშვეობით მიწოდება 643.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ამასთან, წლის განმავლობაში შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვის მოცულობა 141.4 მლნ ლოდარი (240.1 მლნ ლარი) იყო. შეიძლება ითქვას, რომ, ერთობლიობაში, აღნიშნული ოპერაციების (თბისბ-ზე განხორციელებული ოპერაციების და შიდასამთავრობო კონვერტაციების) მიხედვით მიწოდებულ იქნა, დაახლოებით, 403.4 მლნ ლარი.

წლის დასაწყისიდან მთავრობის დეპოზიტების ზრდა დაფიქსირდა – იქნის ბოლო მონაცემით, მისი მოცულობა 679.8 მლნ ლარი იყო. წლის განმავლობაში ამ ანგარიშებზე ზრდის თლენობაში 319.5 მლნ ლარი შეადგინა. მთავრობის ანგარიშების ასეთ მატებას მთავრობის დეპოზიტების უცხოური ვალუტით დენომინირებული კომპონენტი განაპირობებდა, რომელიც ამავე პერიოდში 117.9 მლნ ლარით გაიზარდა. აღნიშნული უმთავრესად ენერგობლივი პრივატისტების შედეგად მიღებულ 145.6 აშშ დოლარის თლენობის (247.3 მლნ ლარი) შემთხველებს უკავშირდება. ამ პერიოდში სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო შემთხველობათა ერთიანი ანგარიში 136 მლნ ლარით გაიზარდა.

წინა პერიოდის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციები ფულად ბაზაზე ძირითადად

### ცხრილი 3.1.1

სამიზნის უზლის დონაშია

2007 წ., ოვის საშუალო მონაცემები

|                  | <u>12.06</u>  | <u>01.07</u> | <u>02.07</u> | <u>03.07</u> | <u>04.07</u> | <u>05.07</u> | <u>06.07</u> |
|------------------|---------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| სარჩევრეკო ფული  | 1 268 754     | 1 218 235    | 1 208 282    | 1 185 314    | 1 236 298    | 1 299 819    | 1 314 985    |
| ფული მათიქევაშია | 853 042       | 848 825      | 834 789      | 843 270      | 877 041      | 902 371      | 937 892      |
| ბანკების         | 853 042       | 369 411      | 373 493      | 342 044      | 359 258      | 397 448      | 377 093      |
| დეპოზიტები       | საფალისტებულო | 415 712      | 224 227      | 222 223      | 230 922      | 232 818      | 251 264      |
| რეგისტრები       | საკონტაქტო    | 194 305      | 145 183      | 151 270      | 111 123      | 126 440      | 146 185      |
| ახალისამზებელი   | ნაშთები       | 194 305      | 145 183      | 151 270      | 111 123      | 126 440      | 146 185      |
|                  | ნაშთები       | 194 305      | 145 183      | 151 270      | 111 123      | 126 440      | 146 185      |

### ცხრილი 3.1.2

სამიზნის უზლის დონაშია

2007 წ., ოვის ბოლო მონაცემები

|                  | <u>12.06</u>  | <u>01.07</u> | <u>02.07</u> | <u>03.07</u> | <u>04.07</u> | <u>05.07</u> | <u>06.07</u> |
|------------------|---------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| სარჩევრეკო ფული  | 1193231       | 1226839      | 1200329      | 1152684      | 1275289      | 1349489      | 1307509      |
| ფული მათიქევაშია | 929538        | 834396       | 840606       | 857971       | 893463       | 922622       | 967394       |
| ბანკების         | 263693        | 392443       | 359723       | 294713       | 381826       | 426867       | 340115       |
| დეპოზიტები       | საფალისტებულო | 224559       | 219303       | 223649       | 231147       | 243528       | 253685       |
| რეგისტრები       | საკონტაქტო    | 39135        | 173140       | 136074       | 63566        | 138298       | 173182       |
| ახალისამზებელი   | ნაშთები       | 39135        | 173140       | 136074       | 63566        | 138298       | 173182       |
|                  | ნაშთები       | 39135        | 173140       | 136074       | 63566        | 138298       | 173182       |

### ცხრილი 3.1.3

უზლადი აბრეშატების შოველი ვიზი ცვლილება

2007 წ., ოვის საშუალო მონაცემები

|                  | <u>01.07</u>                  | <u>02.07</u>     | <u>03.07</u>     | <u>04.07</u>     | <u>05.07</u>     | <u>06.07</u>     |
|------------------|-------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| ფართი ფული /M3/  | <b>2 580 571</b>              | <b>2 616 443</b> | <b>2 672 403</b> | <b>2 768 753</b> | <b>2 941 231</b> | <b>3 176 052</b> |
| ფულადი მასა /M2/ | 1295595                       | 1287117          | 1334653          | 1404080          | 1514157          | 1620071          |
| ბანკებისგარეუ    | არატექნიკური ნაღდი            | 742375           | 743895           | 745340           | 777280           | 798758           |
| ფული             | დანარის                       | 840015           | 837685           | 846038           | 885898           | 905526           |
| მათიქევაშია      | დეპოზიტები                    | 553219           | 543223           | 589312           | 626800           | 715399           |
| ეროვნული         | ფალურთ                        | 1284977          | 1329325          | 1337750          | 1364673          | 1427074          |
| დეპოზიტები       | უზრუნველყოფილობის გადაუცილები | 1 285 905        | 1 413 409        | 1 308 951        | 1 408 262        | 1 431 005        |
|                  | უზრუნველყოფილობის გადაუცილები | 1 285 905        | 1 413 409        | 1 308 951        | 1 408 262        | 1 431 005        |

### ცხრილი 3.1.4

უზლადი აბრეშატების შოველი ვიზი ცვლილება

2007 წ., ოვის ბოლო მონაცემები

|                  | <u>01.07</u>                  | <u>02.07</u>     | <u>03.07</u>     | <u>04.07</u>     | <u>05.07</u>     | <u>06.07</u>     |
|------------------|-------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| ფართი ფული /M3/  | <b>2 583 541</b>              | <b>2 712 182</b> | <b>2 674 368</b> | <b>2 863 189</b> | <b>2 967 426</b> | <b>3 247 908</b> |
| ფულადი მასა /M2/ | 1 297 637                     | 1 298 772        | 1 365 417        | 1 454 927        | 1 536 421        | 1 646 161        |
| ბანკებისგარეუ    | არატექნიკური ნაღდი            | 739 864          | 752 811          | 761 988          | 781 242          | 819 339          |
| ფული             | დანარის                       | 834 396          | 840 606          | 857 971          | 893 463          | 922 622          |
| მათიქევაშია      | დეპოზიტები                    | 557 773          | 545 961          | 603 429          | 673 686          | 717 081          |
| ეროვნული         | ფალურთ                        | 1 285 905        | 1 413 409        | 1 308 951        | 1 408 262        | 1 431 005        |
| დეპოზიტები       | უზრუნველყოფილობის გადაუცილები | 1 285 905        | 1 413 409        | 1 308 951        | 1 408 262        | 1 431 005        |

ანგორისას წარმოადგინდა საქართველოს ეროვნული ანგორის მონაცემები.

სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების ეყრდნობობიდან თუმცა, არსებითად გაიმარჯვილა ამ მექანიზმის გამოყენებით აბსორბირებული დიკვილების მოცულობა. ივნისის ბოლოსათვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების რაოდინიში 371.6 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფინანსულ იქნა 1018 მლნ ლარის სერტიფიკატი, ხოლო ახლად ემიტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა 1093 მლნ ლარით განისაზღვრა. გარდა ამისა, ივნისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განათავსა 10 მლნ ლარის სახელმწიფო თბლივაციის მიერ დამდენად, შეის მიერ საანგარიშო პერიოდში სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და სახელმწიფო თბლივაციის მეშვეობით ამოღებული ლიკვიდობის წმინდა მოცულობამ 85 მლნ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად - საკურედიფო ინსტრუმენტებით განხორციელებული თბერიციების შედეგად, საანგარიშო პერიოდში, ივნისის ბოლო მონაცემების მიხედვით, ბანკების წმინდა დავალიდიანების მოცულობა -254.6 მლნ ლარით გამოიანების (2006 წ., 31 დეკემბერი) -351.6 მლნ ლარიმდე შეიტევადა.

გემთაღნიშნული ფულადი ნაკადების ფონზე, 2007 წლის ივნისის სარეზერვო ფულის მაჩვენებელმა, თვის ბოლო მონაცემებით, 1307.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 114.3 მლნ ლარით აღემატება 2006 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელს. სარეზერვო ფულის მოცულობის წლიურმა გრძელმ, თვის საშელო მაჩვენებლების მიხედვით, დეკემბრში (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) არსებული 31.4 პროცენტიდან ივნისში 24.6 პროცენტზემდე მიიკლო. ამავე პერიოდში ნაღდი ფული მიმოქცევაში 37.9 მლნ ლარით გაიზარდა და 967.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

### ფართო ფული

2007 წლის ივნისში წლის დასაწყისიდან ფართო ფული M3-ის აგრეგატი 586.2 მლნ ლარით (22 პროცენტი) გაიზარდა და 3.247 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული განაპირობა როგორც ეროვნული ვალუტით არსებული დეპოზიტების (41.5 პროცენტი) ისე უცხოური ვალუტით დაგენერირდა დეპოზიტების მოცულობის (25.9 პროცენტი) მატებამ. წლის დასაწყისიდან უცხოური ვალუტით დეპოზიტების ეროვნული განაპირობა როგორც 329.3 მლნ ლარით გაიზარდა და ივნისის ბოლოს 1.601 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით განაპირობა დეპოზიტების 233.2 მლნ ლარით მოიმატა, შეაბამისად, პერიოდის ბოლოს მისა მოცულობა 795.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი ექვს თვეში 18.5 პროცენტით (257 მლნ ლარი) გაიზარდა, რაც

ძირითადად ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების  
233.2 მლნ ლარით მატებამ განაპირობა.

ფართო ფული M3-ის და M2-ის მაჩვენებლების წლიური  
გრძის ტემპმა იქნისში, შესაბამისად, 42.2 და  
31.5 პროცენტი შეადგინა.

## ჩანართი 2. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, როგორც  
ეკონომიკური ნიონმატივი, ისტორიული დიმისათვის  
შეიქმნა, რომ კომერციული ბანკების მხრიდან  
დეპოზიტარების პოლიტიკური მოთხოვნების  
და კმაყოფილება რამდენადმე გარანტირებული  
ყოფილიყო. დროთა განმავლობაში სარეზერვო  
მოთხოვნებმა ეს ფუნქცია დაკარგდა და ახალი  
მნიშვნელობა შეიძინა. კერძოდ, იგი წარმოადგენს  
ლიკვიდობის მართვის ერთ-ერთ სერიოზულ  
მონეტარულ ინსტრუმენტს. სესხების სასურველებელი უფრო  
მეტად ბრძანს შემთხვევაში, სარეზერვო მოთხოვნების  
გამორდა ამცირებს მომიღების სახსრების სესხებად  
გარდაქმნის სიჩქრეს, რაც ამცირებს ფულის  
მიწოდებას და, შესაბამისად, ფისხების შემცირების  
მიმართულებით მოქმედებს. ამავე დროს, სარეზერვო  
მოთხოვნების არსებობა, ქმნის რა დაიკვიდობს  
საჭიროებას (ანუ ფულზე მოთხოვნა უფრო  
სტაბილურია), ბრძანს მონეტარული პოლიტიკის  
უფასოს, რაც პოზიტიურად აისახება საპროცენტო  
განაკვეთების სტაბილურობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ  
სარეზერვო მოთხოვნების ნორმა, არამედ ისიც, თუ რა  
გამოიყენება გაანგარიშების ბაზად და როგორ ხდება ამ  
მოთხოვნების დაცვა.

2007 წლის პირველი იქნისიდან ძალაში შევიდა  
საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის  
მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ახალი წესი.  
საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული  
ნორმატივი აქტი შეიმუშავა საერთაშორისო  
სავალურო ფონდის ტექნიკურ მისია და აშშ-ის  
ფულერალური სარეზერვო ფონდის ექსპერტებთან  
ერთობლივი კონსულტაციების საფუძველზე.  
დოკუმენტის ძირითადი პრინციპები და პირველად  
გარიანტი განხილული იქნა კომერციული ბანკებისა და  
საქართველოს ბანკების ასოციაციის  
წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებშე.

სარეზერვო მოთხოვნების ახალი წესი რამდენიმე  
ცვლილებას ითვალისწინებს, მათ შორის:

ა) საქართველოს ეროვნულ ბანკში უცხოური ვალუტით  
მომიღები სახსრების დარეზერვება ამიერიდან აშშ  
დოლარით მოხდება და არა ეროვნული ვალუტით.  
აღნიშნული მნიშვნელოვნად ამცირებს საქართველოს  
საბანკო სისტემის რისკებს, კერძოდ, სავალუტოსა და  
ასევე საკრედიტო რისკს;

ბ) ბანკები ვალდებული აღარ არიან, ეროვნული  
ვალუტით მომიღები სახსრების შესაბამისი რეზერვი  
მუდმივად ჰქონდეთ შენახული საქართველოს ეროვნულ  
ბანკში. მათ მოეთხოვებათ მხოლოდ, საშუალოდ,  
ორგანიზაციის პერიოდულობით დაიცვან ეროვნული  
ვალუტით მომიღები სახსრებისათვის დაწესებული  
სარეზერვო მოთხოვნები. ეს ცვლილება კომერციულ  
ბანკებს საკუთარი სახსრების მართვის კუთხით მეტ  
თავისუფლებას ანიჭებს და სტიმულს აძლევს ბანკებს  
შორის რესურსებით ვაჭრობას;

გ) რეზერვების გაანგარიშების ორკვირიანი პერიოდი  
30 დღით უსწრებს რეზერვების დაცვის ორგანიზაციი  
ვადას, რაც კომერციულ ბანკებსა და საქართველოს  
ეროვნულ ბანკს ლიკვიდობის პროგნოზის მიზანით  
თავიანთი საქმიანობის უკეთ დაგეგმვის საშუალებას  
აძლევს;

დ) შეცვალა ასევე მომიღები სახსრების  
გაანგარიშების ბაზა, კერძოდ, ამ ბაზიდან ამოღებულ  
იქნა ბანკთაშორისი დეპოზიტების კატეგორია, რაც  
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებასა და  
ბანკთაშორისი ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.


მართალია, ახალი სარეზერვო მოთხოვნებით  
გათვალისწინებული წესი, კერძოდ, უცხოური  
ვალუტით მომიღები სახსრების აშშ დოლარით  
დარეზერვება ბანკებისათვის უფრო ხელსაყრელია,  
მაგრამ კომერციულ ბანკებს მინიმიმუმული აქვთ  
დია სავალურო მომიწინება. ამიტომ გემთაღნიშნული  
მოთხოვნების ერთბაშად შესრულება კომერციული  
ბანკებისათვის მნელად განსახორციელებელი  
იქნებოდა. შესაბამისად, სარეზერვო მოთხოვნების  
წესი ითვალისწინებს რეალური გარდამავალ

პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომერციული ბანკები ეფაპობრივად განახორციელებენ ახალი მოთხოვნების სრულად შესრულებას. დამუშავდა ანგარიშგებისა და გათვლის ავტომატური ფორმები, რომლებიც გააძლიერებს როგორც კომერციული

ბანკების მხრიდან ანგარიშგების პროცესს, ასევე მოთხოვნების დაცვის კონტროლს. უნდა აღინიშნოს, რომ, მოქმედავად რეფორმის კომპლექსური ხასიათისა, იგი გარდამავალ პერიოდში წარმატებულად ხორციელდება.

### პრაგოვ 3.2.1

კონკრეტული სახელმწიფო განვითარების მიზანი  
(ლოგარითმული სკალა)



### 3.2. საპროცენტო განაკვეთების, სადეპოზიტო გალებულებებისა და ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკა

2007 წლის II კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისათვის გაცემული სესხების მაღალი ზრდის ტემპი კვლავ შენარჩუნდა და 58.2 პროცენტი შეადგინა. შედეგად, საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 3539.4 მლნ ლარს მიაღწია. რომ 2004 წლის ბოლოდან კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება საკმაოდ სტაბილური გრენდით ხასიათდება. როგორც სესხების ევოლუციის გრაფიკი გვიჩვენებს, სესხების ოდენობა ყოველთვიურად დაახლოებით, 4.4 პროცენტით იზრდება, რაც წლიური 70-პროცენტიანი ზრდის შესაბამისია<sup>1</sup>.


საკრედიტო პორტფელის ზრდასთან ერთად ბანკებმა მნიშვნელოვნად გააძერგორეს გრძელვადიანი დაკრედიტება, რის შედეგადც გაიზარდა გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში. 2007 წლის II კვარტალის ბოლოსათვის მოკლევადიანი სესხების წილი გეონომიკის დაკრედიტებაში 31.1 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდში მოკლევადიანი სესხების წილი 32.9 პროცენტი იყო. სესხების სტრუქტურაში გრძელვადიანი სესხების წილის მატება კომერციული ბანკების აქტიური სასესხო პოლიტიკით აიხსნება. ბანკები აუმჯობესებენ რისკების მართვას, რაც მათ გრძელვადიანი სასესხო პორტფელის უკეთ მართვის საშუალებას აძლევთ. სესხების გადამობის ბრდა ბანკებს უმცირეს ახალი სესხის გაცემასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, ხოლო ეკონომიკურ აგენტებს გრძელვალიან სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას უქმნის, ეს კი რესურსების ოპტიმალურ განაწილებას უწევს ხელს.

ბანკები სულ უფრო მგზარდ აქტივობას იჩენენ სამომხმარებლო ბაზის მიმართ, რის შედეგადც ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ოდენობა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიღრე იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები – 2007 წლის II კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა 79.1 პროცენტით


<sup>1</sup> თუ სესხების მნიშვნელის გამოცვასახელით შემდეგი ფორმულით –  $Y=C(1+r)^t$ , გადალენით მტების შემდეგ გამოისახევება შეცვილება გადაწმუნებით, როგორც  $\ln Y = \ln C + \ln(1+r)^t$ , რაც მცირების შემთხვევაში, ძირითადი შეცვილება გამოისახით, როგორც  $\ln Y = \ln C + r^t$ . ეს კი შეცვალება გრაფიკზე გაფლებულ ხასიათს.

გაიზარდა, მაშინ, როდესაც იურიდიულ პირებშე  
გაცემული სესხების ოდენობა მხოლოდ 53.1 პროცენტით  
არის გამოიძილი.

#### ბრაზილია 3.2.2 საპროცენტო განაკვეთის სისხვავი



#### ბრაზილია 3.2.3 ეპონიკური და უცხოური ვალუტორი გაცემული სისხვავის ზარღვები (ცანა და ფარდობი) რაოდენობას შორის კორელაცია (01/05:06/2007)




კომუნიკაციი ბანკების მიერ გაცემულ სესხებშე  
საპროცენტო განაკვეთის გრძელების შეინიშნება.  
2007 წლის ივნისის ბოლოსათვის ლარით გაცემულ  
სესხებშე საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 18.8  
პროცენტი შეადგინა, რაც 0.8 პროცენტული პუნქტით  
აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, ხოლო უცხოური  
ვალუტით გაცემულ სესხებშე საშუალო საპროცენტო  
განაკვეთმა 17.3 პროცენტი შეადგინა. ეს მაჩვენებელი  
0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის  
შესაბამის მონაცემს. საპროცენტო განაკვეთების გრძელ  
როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით გაცემულ  
სესხებშე ერთობლივი მოთხოვნის მატებაზე მიეთითებს.  
მოცემულ შემთხვევაში, ბანკების დაკრედიტების სწრაფი  
ტემპით გაფართოება ინფლაციურ რისკებს არ შეიცავს,  
რადგან საპროცენტო განაკვეთის გრძელების რეალური  
ფასის გრძელს უწყობს ხელს.

საინტერესო ფაქტია, რომ ეროვნული ვალუტით გაცემულ  
სესხებშე საპროცენტო განაკვეთები უფრო სწრაფი  
ტემპით იმრღვება, ვიღრე უცხოური ვალუტით გაცემულ  
სესხებშე, რაც სესხების მიწოდების სავალუტო  
სტრუქტურის ცვლილებით არის გამოწვეული. გრაფიკის  
ვერტიკალურ დერბზე გამოსახულია ერთი თვის  
განმავლობაში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების  
საშუალო საპროცენტო განაკვეთის ფარდობა უცხოური  
ვალუტით გაცემული სესხების საშუალო საპროცენტო  
განაკვეთთან. პირიბონგაბლურ დერბზე კი გამოსახულია  
შესაბამის პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული  
სესხების ფარდობა უცხოური ვალუტით გაცემულ  
სესხებთან. სესხის ფარდობით ფასა და ფარდობით  
რაოდენობას შორის გამოკვეთილი უარყოფითი  
კორელაცია ფიქსირდება, რაც მოთხოვნის მრედის  
შესაბამება. ამის საფუძველზე შეგვიძლია დაფიქსირდათ,  
რომ სესხებშე ფარდობითი მოთხოვნის მრედი  
სტაბილურია და აღინიშნება მიწოდების მრედის  
ცვლილება, რომელიც შემდეგი ფაქტორებით შეიძლება  
იყოს გამოწვეული: დარის გაუფასურების მოლოდინის  
გაძლიერებით და/ან საბანკო სისტემაში უცხოური  
ვალუტით დენომინირებული სახსების სიჭარბით. დარის  
გაუფასურების მოლოდინის მომატება ნაკლებად  
სავარაუდო, რადგან უკანასკნელი წლების  
განმავლობაში დარის კურსი სტაბილურად მყარდებოდა,  
რაც დალებითად მოქმედებდა დარის გამყარების  
მოლოდინზე. საქართველოს საბანკო სისტემაში  
წარმატებით ხდებოდა უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ეს  
კი უცხოური ვალუტით სახსრების სიჭარბეს იწვევდა და  
ეროვნული ვალუტით სესხების ფარდობითი მიწოდების  
მრედი ზევით გადაადგილდებოდა. შედეგად, ეროვნული  
ვალუტით საპროცენტო განაკვეთი უფრო მეტად  
გაიზარდა, ვიღრე საპროცენტო განაკვეთი უცხოური


## პრაგმა 3.2.4

სეპტემბრის მთევზვით სესხების გადანაზღვება




## პრაგმა 3.2.5

ვაჭრობას გაცემული სესხები და ინფლაცია



## პრაგმა 3.2.6

ვადაგადაცილებული დავალიანების ზოლი



ვალუტით. ამავე დროს, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა უფრო სტრატი ტემპით გაიზარდა.


ეკონომიკური სექტორების მიხედვით სესხების განაწილებაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება, რაც გამოიხატება ცალკეულ ეკონომიკურ სექტორებში სესხების კონცენტრაციის შემცირებით. შედეგად, სასესხო პორტფელი უფრო დივერსიფიცირებული გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობისათვის გაცემული სესხების წილი. მრავალი აღინიშნება აგრძელებული კომერციული საქმიანობის, ჯანდაცვის, ფინანსური შეამცირობის, რანსაპორტისა და კომუნიკაციების სექტორებისთვის გაცემულ სესხებში.

აღსანიშნავად, რომ ვაჭრობის სფეროსათვის გაცემული სესხების მოცულობა ისეთი სწრაფი ტემპით აღარ იმდება, როგორც წინა წლებში. შედეგად, სასესხო პორტფელში ვაჭრობის სექტორის დაკრედიტის წილი მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა. სესხების მოცემული სახით გადანაწილება ინფლაციური წესის შესუსტების ერთ-ერთ ინდიკატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც გრაფიკი გვიჩვენებს, გამოკვეთილი კორელაცია არსებობს ვაჭრობისათვის გაცემული სესხების წილას და ინფლაციის მორის. ამ კავშირს, უპირველესად, განაპირობებს ის ფაქტი, რომ სესხები პროცეკლური ტენდენციით გამოიწვევა და მათი ოდენობის სწრაფი მრავალი მოცემული სექტორის გაფართოებასთან ასოცირდება. სავაჭრო სექტორის გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი კი სამომზარებლო პროცესისაზე დაფიქსირებული მაღალი ფასია.

ვადაგადაცილებული დავალიანების წილი შემცირდა და 2007 წლის II კვარტალის ბოლოსათვის მოლაპანი სესხების 0.8 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი 1.9 პროცენტი იყო. საბანკო სექტორში ვადაგადაცილებული დავალიანების კლება რისკების შემცირების მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ვადაგადაცილებული დავალიანები ეროვნული და უცხოური ვალუტით ერთმანეთს გაუტოლდა. ისტორიულად, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ვადაგადაცილებია ყოველთვის აღმატებოდა სასესხო დავალიანებას ეროვნული ვალუტით. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ კომერციული ბანკები მაღალრისკიანი საკრედიტო ბაბრის სეგმენტში უფრო აქტიურად უცხოურ ვალუტას იყენებდნენ. ეროვნული და უცხოური ვალუტით ვადაგადაცილების დავალიანებების გათანაბრება ძირითადად გამოწვეული იყო უცხოური ვალუტით დავალიანების ვადაგადაცილების შემცირებით (თუმცა, აღინიშნება დარით გაცემული სესხების ვადაგადაცილების მცირები მრავალი დავალიანებების გათანაბრება). ერთი წლის განმავლობაში ვადაგადაცილების მაჩვენებელი უცხოური ვალუტით 2.2 პროცენტიდან 0.8 პროცენტიმდე შემცირდა.

ბოავის 3.2.7

## სადეპოზიტო ვალდებულებები




2007 წლის II კვარტალის ბოლოსათვის კომერციული  
ბანკების მიერ ეკონომიკიდან მოზიდული დეპოზიტების  
წლიური ზრდის ტემპმა 54.1 პროცენტი შეადგინა და  
2396.8 მლნ ლარს მიაღწია. მიმდინარე ანგარიშები  
წლიური 53.6 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც  
ვაღიანი დეპოზიტები 54.7 პროცენტით არის  
მომატებული. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე  
ანგარიშების წილი მთლიან საბუჟობის  
ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ისტორიული  
ტენდენციით არ გამოიჩინა და დაახლოებით  
50 პროცენტის ირგვლივ ვარიაციას.

თურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა  
62.3 პროცენტით გაიმარჯვა, ხოლო ფიზიკური პირებისა  
– მხოლოდ 45.3 პროცენტით. საგულისხმოა, რომ  
თურიდიული პირების დეპოზიტების წილი საბანკო  
სისტემაში იმრღვება და მნიშვნელოვანი ფლუქტუაციებით  
არ გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ თურიდიული პირები  
თავიანთ დეპოზიტებს ბრძანი უცხოური ვალუების ხარჯზე  
(87.5 პროცენტი წლიური ბრძანა), მაშინ, როდესაც  
ფიზიკური პირები თავიანთი დეპოზიტების ოდენობის  
გრძას ერთვნული ვალუების საშუალებით  
(115.5 პროცენტი წლიური ბრძანა) ახდენენ.

საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი სწრაფი ტემპით  
ვითარდება, ის თანდათან იძენს საფინანსო ბაზრის  
ფუნქციასაც და ინვესტირების აღტერნატიულ  
საშუალებად გვევლინება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც,  
რომ საფონდო ბირჟა არაღი კვილერია. ისევე, არსებობს  
გარკვეული უნდობლობა საფინანსო ინსტრუტებისა და  
სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ.  
უკანას კენელ წლებში ფასები უძრავ ქონებაზე მაღალი  
ტემპით იზრდებოდა. ეკონომიკურ ძგინებში არსებობს  
მოლოდინი, რომ ბრდა კვლავ გაგრძელდება. ფასების  
დინამიკის მკვეთრმა ცვლილებამ შეიძლება  
მნიშვნელოვანი რისკები წარმოშვას და ისინი  
საფინანსო ბაზრებს გადაეცეს.

გრაფიკი 3.2.8

ՕՉՈՐԴԱՎՐԱՐՈ ՍԵՍՏԱՑԻԸ ՊՈՂՈ ԹԵՂՈԱՆ ԼԵՏԱՑՑԱԾ




აპოთეკური სესხების წილი მთლიან სესხებში  
მნიშვნელოვნად მიმდებოდა 2006 წლის მანძილზე.  
2007 წლის პირველ ნახევარში გრძილი მაჩვენებელი  
დაბალიანდა და აპოთეკური სესხების ოდენობა ისეთივე  
ტემპით იზრდებოდა, როგორიც გემპითაც მთლიანი  
სასესხო პორტფელი. აპოთეკური სესხების წილის ბრლის  
შეზერება გარეუებულწილად უძრავი ქონების ბაზარზე  
განვითარებულ ტენდენციებს ასახავს, რომლის  
ევოლუციაც უფრო დაბალისებული გახდა. უკანასკნელი  
ერთიანი წლის განმავლობაში შეინაშება ბინებები ფისების  
ბრლის ფერმპის შემცირება. 2007 წლის II კვარტალის  
ბოლოს ფასების 27.0-პროცენტიანი წლიური ბრლა  
დაფიქსირდა, მაშინ, როგორც 2006 წლის ანალოგიურ  
პერიოდში ფასები 36.5 პროცენტით გაიზარდა. მოიკლო  
ასევე ქირის ფასის ბრლის ფერმპაც. 2007 წლის II  
კვარტალის ბოლოს ქირა 22.9 პროცენტით გაიზარდა,


**ბრაზილია 3.3.1**

თგილისის განვითარების სამინისტრო გირჩას უცხოური  
ვალუტის მიმღება-მომსახურების ურთის სევაობა და  
საქართველოს მინიჭებული განკარგულების მინიჭებულების

2007 წ., II კვარტალი

**ბრაზილია 3.3.2**

ლარის განვითარების კურსის დინამიკა  
2007 წ., II კვარტალი

**ბრაზილია 3.3.3**

ლარის გაცვლის კურსის დინამიკა ვეროსა და

აშშ დოლარის მიზანი

2005-2007 წლები



ინფლაციის წყირი: საქართველოს ეროვნული ბანკის მინიჭებულები.

მაშინ, როდესაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებლის მრავალი 30.2 პროცენტის შეადგინდა. იმოთვალით სესხების მხოლოდ 16 პროცენტი არის გაცემული ეროვნული ვალუტით.

### 3.3. სავალუტო კურსი, დოლარიზაცია და საგადასახდელო ბალანსი


#### სავალუტო ბაზარი

2007 წლის II კვარტალში შენარჩუნდა ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლის კურსის გამყარების ხანგრძლივი გენდენცია. თუ კვარტალის დასაწყისში ლარის კურსი 1.7-ის ტოლი იყო, 31 მარტისთვის ის უკვე 1.6695-მდე დაიცა, რაც 1.79-პროცენტიან გამყარებას შეესაბამება. ამისთან, 2006 წლის II კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი გამყარდა როგორც პერიოდის ბოლო (5.84 პროცენტი), ისე პერიოდის საშუალო (6.59 პროცენტი) მონაცემებით, რაც, დაახლოებით, ფოლდისია 2007 წლის I კვარტალში დაფიქსირებული ანალიტიკური პარამეტრებისად – შესაბამისად, 6.95 და 5.69 პროცენტი.

